ქ. წალენჯიხა 24 აგვისტო 2022 წ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი N2

2022 წლის 24 აგვისტოს, 11:00 საათზე, გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავა.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები ეკა სამუშია, ირაკლი სალია, დათა კუკავა. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ათანდილ გაბელია, მოადგილე გიორგი დარსალია, საკრებულოს წევრები: რაისა ჩანგელია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია, გონერ კვარაცხელია, ომარ ქარდავა.

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

პროექტის წარმდგენი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

პროექტის წარმდგენი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

3. სხვადასხვა

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

მოისმინეს 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტი გააცნო საკრებულოს წევრებს, (დანართი თან ერთვის) ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა. კომისიის წევრებმა საკითხი საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად ჩათვალეს

მოისმინეს 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ, მოხსენება გააკეთა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

პირველ ობიექტთან დაკავშირებით, ქ.წალენჯიხაში, გამსახურდიას ქუჩა N9-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული, არასაცხოვრებელი ფართის, ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს. მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს მათი მოთხოვნა სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით. კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ ამ გადაწყვეტილებას.

მეორე ობიექტთან დაკავშირებით, მებონიას ქუჩაზე 50 კვ. მეტრი ფართის გასხვისებაზე კომისიის წევრებს ჰქონდათ შენიშვნები, რომ ეს ფართი ხომ არ არის ტროტუარზე, რა მიზნისთვის არის განკუთვნილი, რაზეც დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღეს. კომისიის წევრებმა ჩათვალეს, რომ ეს საკითხი არ არის შესწავლილი და აუცილებელია მისი განხილვის გადადება, საკითხი ამ ობიექტთან მიმართებაში არ არის საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებული .

ამით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა დასრულდა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /თემურ ქარდავა/